პროექტი

განკარგულება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. გოგოლესუბანში მდებარე 340.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ [redacted]) ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით (იჯარა) განკარგვის შესახებ თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61– ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს

1.მიეცეს თანხმობა მუნიციპლიტეტის მერს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. გოგოლესუბანში მდებარე 340.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - [redacted]) ელექტრონული აუქციონის ფორმით საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის უფლებით (იჯარა) 15 (თხუთმეტი) წლის ვადით განკარგვის თაობაზე.

2. უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 1200 (ათას ორასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.